

პირველად...

საკავშირო რადიომ არასწორი ცნობა მოგვაწოდა, თითქოს უიმბლდონის ტურნირის შაბათისთვის დანიშნული ფინალური მატჩი ა. მეტრეველსა (სსრ კავშირი) და ი. კოდეშს (ჩეხოსლოვაკია) შორის კვირა დღისთვის იყო გადატანილი. სინამდვილეში ეს შეხვედრა გაიმართა შაბათს და წარმატება წილად ხვდა კოდეშს — 6:1, 9:8, 6:3. მართალია, თბილისელმა გადამწყვეტი ბრძოლა წააგო, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ იგი საბჭოთა ჩოგბურთელთაგან ერთადერთია, რომელმაც შეძლო მხოფლიოს ამ არაოფიციალურ ჩემპიონატად აღიარებული შეჯიბრების ფინალში გასვლა. უიმბლდონის ტურნირების ისტორიაში პირველია ისიც, რომ ერთეულთა ფინალში ერთმანეთს ორი სოციალისტური ქვეყნის წარმომადგენლები შეხვდნენ. თანაც, უკანასკნელი 37 წლის მანძილზე ეს შეხვედრა ვაჟთა ერთეულების პირველი ევროპული ფინალი გახლდათ.

შერეულ წყვილებში მეტრეველი გამოდიოდა მოსკოველ ო. მოროზოვასთან ერთად. საბჭოთა ჩოგბურთელებმა ნახევარფინალური მატჩი დათმეს ამერიკელ ბ.-ჯ. კინგთან და ავსტრალიელ ო. დევიდსონთან — 7:5, 5:7, 1:6. ამ უკანასკნელებმა საბოლოოდ ფინალური შეხვედრაც მოიგეს.

ქალთა ერთეულებში უიმბლდონის ჩემპიონის ტიტული მეხუთედ მოიპოვა კინგმა, რომელმაც ფინალში დაამარცხა 18 წლის თანამემამულე ქ. ევერტი — 6:0, 7:5.

ქალთა წყვილებში პირველობა იზეიმეს კინგმა და მისმა თანამემამულე რ. კაზალსმა. მათ დაამარცხეს ფ. დიური (საფრანგეთი) და ბ. სტოუვი (ჰოლანდია) — 6:1, 4:6, 7:5.

ვაჟთა წყვილებში უძლიერესნი იყვნენ ამერიკელი ჯ. კონორსი და რუმინელი ი. ნესტასე. მათ გადამწყვეტი ბრძოლა მოუგეს ავსტრალიელებს — ჯ. კუპერსა და ნ. ფრეზერს — 3:6, 6:3, 6:4, 8:9, 6:1.

გუშინწინ თბილისის სპორტის სასახლეში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი კლასიკურ ჭიდაობაში მსოფლიოს სამგზის და ოლიმპიური ჩემპიონის, მსოფლიო თასის მფლობელის გივი კარტოზიას პრიზზე. ამ ტურნირში წარმატებით იასპარეზა ჩვენმა თანამემამულემ ო. ბლიაძემ, რომელმაც დაიმსახურა შეჯიბრების მთავარი პრიზი.

• • •

სურათზე: გივი კარტოზია პრიზს გადასცემს ო. ბლიაძეს.

მ. ზარგარიანის ფოტო.

(შეჯიბრების ანგარიში იხ. მე-2 გვ.).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 134
(4904)

1973 წ.
10 ივლისი,
სამშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

მძაფრ ჭიდილში

ამ ორიოდე დღის წინ ინგლისის ქალაქ ბატში დაიწყო ევროპის მოჭადრაკე ვაჟთა V გუნდური პირველობა, რომელშიც 8 ქვეყნის ნაკრები გუნდები (თითოეულში 8 ძირითადი და 2 სათადარიგო მონაწილეა) თამაშობენ.

სულ ბოლო მომენტში, მოსკოვიდან გამგზავრების დღეს, საბჭოთა გუნდს გამოაკლდა დიდოსტატი ლ. შტეინი (კიევი), რომელიც მოულოდნელად გარდაიცვალა. საბჭოთა გუნდის ძირითად შემადგენლობაში მის მაგიერ ოსტატი გ. კუზმინი შეიყვანეს. 39 წლის შტეინი ბრაზილიის საზონათშორისო ტურნირის მონაწილეც იყო. იქ მას მოსკოველი დიდოსტატი დ. ბრონშტეინი შეცვლის.

I ტურში სსრ კავშირის მოჭადრაკეები მასპინძლებს შეხვდნენ. მატჩის ანგარიშია 5,5:1,5 საბჭოთა გუნდის სასარგებლოდ. გაიმარჯვეს ა. კარპოვმა, ვ. კორჩნოიმ, მ. ტალმა და ვ. სმისლოვმა. ბ. სპასკიმ, ე. გელერმა და გ. კუზმინმა შეხვედრები ყაიმით დაამთავრეს. ტ. პეტროსიანმა კინთან პარტია გადადო.

იმ დღის სხვა მატჩების შედეგები ასეთია: პოლონეთი — გფრ 5:3, იუგოსლავია — შვეიცარია 5,5:2,5, უნგრეთი — რუმინეთი 5,5:2,5.

II ტურში საბჭოთა გუნდი რუმინეთის ნაკრებს ეთამაშა. სპასკიმ სძლია დიდოსტატ ფ. გეორგიუს. პარტიები მოიგეს ტალმა და კარპოვმაც. ყაიმს დასჯერდნენ პეტროსიანი, სმისლოვი და ბალაშოვი. კორჩნოი დამარცხდა ახალგაზრდა ოსტატ ტ. გიცესკუსთან.

მატჩი შეწყდა ანგარიშით 4,5:2,5 საბჭოთა მოჭადრაკეების სასარგებლოდ. გადაიდო გელერ — გინდას პარტია.

წინა პირველობების ლაურეატების — იუგოსლავიისა და უნგრეთის გუნდების შეხვედრაში გაიმარჯვეს იუგოსლაველებმა — 4,5:3,5. ინგლის — პოლონეთის მატჩის ანგარიშია 3,5:3,5 (1), გფრ — შვეიცარიისა 4:1 (3).

III ტურში პოლონეთის გუნდმა მძაფრი წინააღმდეგობა გაუწია საბჭოთა მოჭადრაკეებს. გამარჯვება მხოლოდ სპასკიმ შეძლო. პეტროსიანმა, ტალმა, კუზმინმა და ი. ბალაშოვმა შეხვედრები ყაიმით დაამთავრეს. სამი პარტია გადაიდო. სმისლოვს ორი ზედმეტი პაიკი აქვს, გელერსა და ვ. ტუკმაკოვს — მცირე პოზიციური უპირატესობა.

სხვა მატჩები: შვეიცარია — ინგლისი 2,5:2,5 (3), უნგრეთი — გფრ 5,5:0,5 (2), იუგოსლავია — რუმინეთი 3:2 (3).

3 ტურის შემდეგ ლიდერობენ უნგრეთი — 14,5 (2), სსრ კავშირი — 13 (5) და იუგოსლავია — 13 (3).

ნონამ სპეციალური პრიზი მიიღო

პიარნუ, 6 ივლისი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ ესტონეთის მოჭადრაკე ვაჟთა მეგობრობის ტურნირში დასკვნითი, XIII ტური შედგა.

ნ. გაფრინდაშვილმა სძლია ი. ვეტემაას (ტალინი). კარო-კანის დაცვაში მსოფლიო ჩემპიონმა აქტიური პოზიცია მიიღო, შემდგომ კი პაიკი მოიგო. 31-ე სვლაზე ესტონელი მოჭადრაკე დანებდა.

გ. უუსიმ მოუგო ვ. ჰეუერს (ოროვე — ტალინი), ა. ხერმლინმა (იუგევა) — ა. კრემენეცკის (მოსკოვი), ა. ტამემ (პიარნუ) — ჰ. კიარნერს (ტალინი), მ. ცეიტლინმა (მოსკოვი) — ა. ხოპს (პიარნუ). ყაიმით დამთავრდა ე. იუქსტი (ტალინი) — ვ. იურკოვის (მოსკოვი) და ე. კივიოია (პიარნუ) — ო. მოისეევის (მოსკოვი) შეხვედრები. ტურნირი დამთავრდა.

I-III ადგილები გაიყვეს მოისეევმა, ცეიტლინმა და უუსიმ — 9-9 ქულა. ნ. გაფრინდაშვილმა 6,5 ქულა მოაგროვა.

ტურნირის მთავარმა მსაჯმა, საერთაშორისო არბიტრმა ლ. ვაჰესაარიმ განაცხადა:

— ტურნირი მოჭადრაკეთა მეგობრობის დემონსტრაცია იყო. შეჯიბრება დიდად გაალამაზა ნონა გაფრინდაშვილის მონაწილეობამ. როგორც ჩანს, ჭადრაკის დედოფალი ამჯერად არ იყო სპორტულ ფორმაში. მან ზოგიერთ პარტიაში ბრძოლით მოპოვებული უპირატესობა ვერ გამოიყენა. სულ ცოტა, ორი-ორნახევარი ქულა მაინც დაკარგა. მიუხედავად ამისა, ნონამ ერთ-ერთი სპეციალური პრიზი დაიმსახურა. ჩემპიონს მომავალშიც ვიწვევთ სასპარეზოდ.

ტურნირის ბოლოს ნონა შინ ვახშამზე მიიწვია დიდოსტატმა პ. კერესმა, რომელიც პიარნუს მკვიდრია. ამჟამად აქ იგი ბრაზილიის საზონათშორისო ტურნირისთვის ემზადება.

ლ. ნაჭყებია.

• • •

სურათზე: ნონა გაფრინდაშვილი და პაულ კერესი საუბრობენ.

ავტორის ფოტო.

მაია ფინალის კანდიდატია

ბელციში მიიწურა სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატის ერთ-ერთი ნახევარფინალი. ამ ტურნირში 13 მოჭადრაკე მონაწილეობს. ფინალში პირველ სამ ადგილზე გასულნი ითამაშებენ.

10 ტურის შემდეგ ლიდერობს თბილისელი ოსტატობის კანდიდატი, 12 წლის მაია ჩიბურდანიძე — 7 ქულა. მას კვალში მიჰყვებიან საერთაშორისო ოსტატები ვ. ბორისენკო (ტაშკენტი) და მ. რანიკუ (ტალინი).

სათამაშო დარჩა 8 ტური. XI ტურში მაია შეხვდება ნ. ფოკინას (პენზა), XII-ში — ბორისენკოს, და XIII-ში — ი. გეშელეს (ბელცი).

ახალი ამბები-73

● ციურიხი, 7 ივლისი. შვეიცარიის ამ ქალაქში მოეწყო მძლეოსანთა დიდი საერთაშორისო შეჯიბრება. 800 მეტრზე რბენაში საბჭოთა სპორტსმენი ვ. არჟანოვი ფინიშთან მეორე მივიდა და 1.45,3 აჩვენა. ეს შედეგი საკავშირო რეკორდის გამეორებაა. თავის სახეობაში ტოლი არ ჰყავდა ა. ბონდარჩუკს, რომლის მიერ ნატყორცნი ურო 73,16 მეტრზე დაეცა. ვ. ბორზოვი პირველი იყო 200 მეტრზე რბენაში — 20,6.

● ბელგრადი, 9 ივლისი. საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებით დამთავრდა აქ გამართული ველოსიპედისტთა მრავალდღიანი საერთაშორისო ველორბოლა. 1086 კილომეტრის გავლას ჩვენმა გუნდმა 81 საათი, 28 წუთი და 33 წამი მოანდომა. II ადგილზე გავიდნენ მასპინძლები, რომელთაც 10 წუთზე მეტი დრო აჩვენეს. მესამენი იყვნენ რუმინელი სპორტსმენები — 81:59.11. პირად ჩათვლაში გაიმარჯვა გორკელმა ა. ხუხოვმა — 27:05.22.

ახალი ამბები-73

ლაშქრობა შაორისკენ

ქუთაისის ტყავფეხსაცმლის კომბინატის შენობის წინ უჩვეულო გამოცოცხლებაა: კომბინატის ახალგაზრდები ლაშქრობას აწყობენ შაორის „ზღვის" მიდამოებში მშდ კომპლექსის ტურისტული ნორმატივების ჩასაბარებლად.

ტურისტები კიდევ ერთხელ ამოწმებენ საჭურველს და მანქანებში სხდებიან.

სტარტი მეშახტეთა ქალაქ ტყიბულშია დანიშნული.

ამ ქალაქის გაცნობისა და შაორის ჰიდროელსადგურის შენობასთან ცოტა ხანს შესვენების შემდეგ ტურისტები გზას გაუდგნენ. რთული რელიეფის მიუხედავად, ყველა მხნედ მიაბიჯებდა. გამოჩნდა ზეკარიც — (1370 მეტრი ზღვის დონიდან. ლაშქრობის მონაწილეებმა აქ კვლავ შეისვენეს, მერე კი დაბა ხარისთვალას მიაშურეს, საიდანაც გეზი „დამბებისკენ" აიღეს.

დღეც მიილია. მოლაშქრეებმა კარვების გასაშლელი ადგილი მოძებნეს და ნორმატივების ჩაბარებისთვის ვარჯიშს შეუდგნენ. ზოგი კარავს დგამდა, ზოგი კოცონის გასაჩაღებლად ემზადებოდა, წყალს ადუღებდა, ზოგი კომპასისა და რუკის საშუალებით გზის გაკვლევაში, საგნებზე დაკვირვებით მხარეთა გამოცნობაში ვარჯიშობდა...

მერე ზღვისპირას კარვების ქალაქი გაშენდა.

ტურისტი „მზარეულები" ცხელი გახშმით გაუმასპინძლდნენ მეგობრებს.

დილით, გამამხნევებელი ვარჯიშის შემდეგ, მოლაშქრეებმა გზა განაგრძეს. კარვების ბანაკში მხოლოდ მორიგეები დარჩნენ.

ტურისტებმა დაათვალიერეს სოფელი ნიკორწმინდა და მისი ისტორიული ტაძარი. ახსნა-განმარტებას მათ ექსკურსიამძღოლი ლ. კობახიძე აძლევდა.

ჭედიას „ულაბნოს" გამოვლით, სადაც VI საუკუნის მონასტერი დაათვალიერეს, მოლაშქრეებმა ბანაკისკენ გამოსწიეს.

აინთო კოცონი. ნორმატივების ჩამბარებლებმა კარგი მომზადება გამოავლინეს. შეკრებილთ კომბინატში სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობაზე ესაუბრა საწარმოს პროფკავშირის მდივანი ა. თავდუმაძე.

მოიღრუბლა. სქელ ნისლში კარვები აიშალა. მოლაშქრეები კმაყოფილნი და დიდი შთაბეჭდილებებით აღსავსენი ბრუნდებოდნენ შინისკენ.

შ. ჩიმაკაძე,
ლაშქრობის ხელმძღვანელი,
ტურიზმის ინსტრუქტორი.

მთავარი პრიზი ომარ ბლიაძეს ხვდა

თბილისის სპორტის სასახლეში დამთავრდა კლასიკური სტილის მოჭიდავეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი გივი კარტოზიას სახელობის პრიზზე. ამ ტურნირის ვერც ერთი შარშანდელი ლაურეატი წლეულს საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ვერ ავიდა. ჩემპიონთა სია შეიცვალა ათივე წონითს კატეგორიაში, მაგრამ, ისევე როგორც შარშან, ლაურეატთა შორის ვერ ნახავთ ვერც ერთ უცხოელ მოჭიდავეს. პირველ ადგილებზე ან სსრ კავშირის ნაკრების წევრები გავიდნენ, ან საქართველოს წარმომადგენლები (საქართველოს გუნდი ამ ტურნირში დამოუკიდებლად გამოდიოდა).

შეჯიბრების დებულების თანახმად, ერთ წონითს კატეგორიაში პრიზიორები არ შეიძლება ყოფილიყვნენ თანამემამულეები. მაგრამ ზოგიერთ წონაში ეს წესი დარღვეულია იმიტომ, რომ უცხოელები სარბიელზე არ გამოსულან.

გუშინწინ საღამოს გაიმართა ფინალური შეხვედრები, მაგრამ ორ წონაში უკვე დილითვე იყო ცნობილი გამარჯვებულთა ვინაობა. როგორც იტყვიან, პირველი ადგილები ვადამდე უზრუნველყოფილი ჰქონდათ ვ. კლიუჩნიკოვს (52 კგ) და კ. ოლეფს (82 კგ). სამაგიეროდ, დანარჩენი ფინალური შეხვედრები უაღრესად მძაფრი და შინაარსიანი გამოდგა.

ტურნირის საუკეთესო მოჭიდავედ აღიარებულია თბილისელი ვეტერანი ო. ბლიაძე, რომელმაც დაიმსახურა კიდევ მთავარი ჯილდო — გ. კარტოზიას პრიზი. ბლიაძემ ამ ტურნირში ერთხელ კიდევ დაამტკიცა თავისი მაღალი ოსტატობა, დახვეწილი ტექნიკა და სწორი ტაქტიკური ალღო. ბლიაძის სპორტული ფორმა, მისი ბრძოლისუნარიანობა და თავგანწირვა დიდებული მაგალითია ახალგაზრდებისთვის. ტურნირის მთავარი პრიზის მფლობელი უდავოდ უძლიერესი იყო ამ შეჯიბრებაში.

კარგი შთაბეჭდილება დატოვეს საქართველოს გუნდის სხვა წევრებმაც, განსაკუთრებით კი ძმებმა მალხაზ და შოთა მორჩილაძეებმა, რომლებიც სხვადასხვა წონითს კატეგორიაში ასპარეზობდნენ. მალხაზი უძლიერესი იყო ქვემძიმე წონაში. იგი ხუთჯერ გამოვიდა სარბიელზე და ოთხი ბრძოლა წმინდად მოიგო. ბოლო შეხვედრის შედეგს (უნგრელ ი. ფორკაშთან) მალხაზისთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, I ადგილი ისედაც მოპოვებული იყო. ასეთ შემთხვევაში უნგრელს მეტი აქტიურობა და ინიციატივა უნდა გამოეჩინა, მაგრამ ზედმეტად ფრთხილად იჭიდავა, არ გაამწვავა ბრძოლა და მსაჯებმა საბოლოოდ ორივე მეტოქე მოხსნეს.

შოთა მორჩილაძის ბოლო ბრძოლას უფრო პრინციპული ხასიათი ჰქონდა. საქმე ისაა, რომ მისმა გუშინწინდელმა მეტოქემ, პოლონელმა მ. გალინსკიმ ევროპის პირველობაზე შეხვედრაში დაამარცხა შოთა. ქართველი ოსტატი რევანშის წყურვილით იყო შეპყრობილი და ბოლოს მიაღწია კიდეც საწადელს. მან დამაჯერებლად მოუგო 175-კილოგრამიან პოლონელ გოლიათს (შოთას წონა 115 კილოგრამს არ აღემატებოდა).

საქართველოს მოჭიდავეთა შორის კიდევ ერთი ათლეტი გახდა ტურნირის ლაურეატი. ესაა ჯ. მეგრელიშვილი, სსრ კავშირის ექს-ჩემპიონი, რომელმაც სტარტზევე ჩამოიტოვა თავისი მთავარი მეტოქე, საბჭოთა ქვეყნის წლევანდელი ჩემპიონი ვ. ერმოშინი. ფინალში მეგრელიშვილის მეტოქე სსრ კავშირის ნაკრების წევრი ვ. ნი იყო. ორთაბრძოლა ქულებით ნიმ მოიგო, მაგრამ ამ შედეგს ადგილების საბოლოო განაწილებაზე გავლენა არ მოუხდენია.

ჭიდაობაში არის ხოლმე შემთხვევები, როცა ბოლო გამარჯვებაც კი სასურველ შედეგს არ გაძლევს. გ. გოგნაძემ (68 კგ) ბრწყინვალედ ჩაატარა ფინალური ორთაბრძოლა უნგრელ კ. ბარატთან. იგი გაბედულად და აზრიანად მოქმედებდა, ლამაზი და ეფექტური ილეთებით წონასწორობიდან გამოიყვანა მეტოქე. უნგრელი დამარცხდა, მაგრამ... ტურნირის დამთავრების შემდეგ სამდივნომ გულდასმით შეამოწმა გოგნაძისა და სსრ კავშირის ნაკრების წევრის ვ. უმეროვის მაჩვენებლები. ორთავეს თანაბარი ქულები აღმოაჩნდა. მათი შეხვედრა ფრედ დამთავრდა. და აი, მაშინ მსაჯებმა დაითვალეს წმინდა გამარჯვებები. ამ მაჩვენებლით უმეროვს უკეთესი მდგომარეობა აღმოაჩნდა და I ადგილზეც სწორედ ის გავიდა. აი რა მნიშვნელობა აქვს ყოველი შეხვედრის შედეგს, თუნდაც ასპარეზობის სტარტზე იყოს იგი ჩატარებული. გოგნაძე ვერ მოხვდა პრიზიორთა სიაში, მაგრამ იგი სამართლიანად აღიარეს ტურნირის ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ მოჭიდავედ.

ორიოდე სიტყვა თვით ტურნირის მნიშვნელობაზე. თქმა არ უნდა, რომ შეჯიბრება ჩვენი სახელოვანი თანამემამულის, გივი კარტოზიას პრიზზე მეტად საინტერესო და სასარგებლო ღონისძიებაა. ასე რომ არ იყოს, მას სანქციას არც მისცემდა ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია. ტურნირი აძლევს ახალგაზრდა სპორტსმენებს დიდ სარბიელზე გზის გაკაფვის საშუალებას და ამიტომაც ეტანება მას ასე ხარბად ახალგაზრდობა. კარგი იქნება, თუ შეჯიბრებას მომავალში უფრო ხელსაყრელ დროს ჩავატარებთ. მით უმეტეს, რომ ზაფხულში, როგორც წესი, მოჭიდავეები სხვადასხვა ოფიციალური ჩემპიონატით არიან დაკავებულნი.

ნ. ახვლედიანი.

• • •

გთავაზობთ ტურნირის პრიზიორთა სიას:

48 კგ. 1. ვ. ზუბკოვი (სსრ კავშირი), 2. ა. აბადი (ირანი), 3. ი. ქიბუ (რუმინეთი).

52 კგ. 1. ვ. კლიუჩნიკოვი, 2. ვ. მატუნოვი (ორივე — სსრ კავშირი), 3. ლ. გაბისიანი (საქართველო).

57 კგ. 1. პ. გროსუ (სსრ კავშირი), 2. ი. დულიკა (რუმინეთი), 3. ჰ. ტურინიანი (ირანი).

62 კგ. 1. ჯ. მეგრელიშვილი (საქართველო), 2. ხ. ვანგელოვი (ბულგარეთი), 3. ა. ლაკატოში (უნგრეთი).

68 კგ. 1. ვ. უმეროვი (სსრ კავშირი), 2. კ. ბარატი (უნგრეთი), 3. ლ. რობინსკი (პოლონეთი).

74 კგ. 1. ვ. ჩებოკსაროვი (სსრ კავშირი), 2. ა. ფრანსაი (პოლონეთი), 3. ვ. ჩომცევი (ბულგარეთი).

82 კგ. 1. კ. ოლეფი (სსრ კავშირი), 2. დ. მანჩეროვი (ბულგარეთი), 3. ი. ლიინევიჩი (პოლონეთი).

90 კგ. 1. ო. ბლიაძე (საქართველო), 2. მ. ტომიჩი (იუგოსლავია), 3. ე. გოგლიჩიძე (საქართველო).

100 კგ. 1. მ. მორჩილაძე (საქართველო), 2. ი. ფორკაში (უნგრეთი), 3. კ. პრიჩკოვსკი (პოლონეთი).

მძიმე. 1. შ. მორჩილაძე (საქართველო), 2. მ. გალინსკი (პოლონეთი), 3. ჰ. რონნე (სსრ კავშირი).

• • •

სურათებზე: ზემოთ — ო. ბლიაძისა (მარცხნივ) და ა. ნისუს (სსრ კავშირი) შეხვედრის მომენტი. ქვემოთ, მარცხნივ — შ. მორჩილაძე წმინდად ამარცხებს პოლონელ კ. პრიჩკოვსკის. მარჯვნივ — შ. მორჩილაძისა და მ. გალინსკის (პოლონეთი) შეხვედრა.

მ. ზარგარიანის ფოტოები.

სსრ კავშირის ჩემპიონატი რეგბიში

ერთი წუთის ფასი

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 8 ივლისი.

„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ფილი“ (მოსკოვი) — 3:6 (0:0).

„ლოკომოტივი“: ცხვედიანი, ნაცვლიშვილი, ფეტვიაშვილი, ღიბრაძე, კავთელაშვილი, კემულარია, რუხაძე, ბენდიაშვილი, შვანგირაძე (ელენტი), კილასონია, სალთხუციშვილი (მიქაბერიძე), ხარშილაძე, ფურცელაძე, გიორგაძე, კაპანაძე.

„ფილი“: კიიანოვი, ლარინი, ლიხაჩოვი, იუდინი, ვანივშკინი, ჟელნიკოვი, ივანოვი, გავრილოვი, იასნოვი, ნეკრასოვი, ბელიაევი (სამოზვანოვი), გრაუდანი, კაგანოვი, კოროლჩუკი, კულებიაკინი.

მსაჯი ა. გრუმბინასი (ვილნიუსი).

რკინიგზელები წინა ტურში გამარჯვების შემდეგ სსრ კავშირის ჩემპიონთან სათამაშოდ საბრძოლო განწყობილებით გამოვიდნენ. კოლექტივში რამდენიმე დისკვალიფიცირებული რეგბისტის დაბრუნებამ გუნდის ბრძოლისუნარიანობა ერთგვარად აამაღლა და „ლოკომოტივიც“ სტარტზე დანაკარგის ანაზღაურებას ყველა მატჩში ცდილობს.

„ფილი“ თბილისში ქულების დასათმობად რომ არ ჩამოსულა, შეხვედრის პირველივე წუთიდან აშკარა გახდა: მოსკოველები შეეცადნენ მატჩის სადავეები თავიდანვე ხელთ ეგდოთ. ამ მიზნის მისაღწევად მათ თამაში სწრაფ ტემპში დაიწყეს. მასპინძლებმა გამოწვევა მიიღეს, ამიტომაც „ფილის“ გეგმა ერთგვარად ჩაიშალა. მაშინ მოსკოველებმა მეტოქეებთან დასაშვებ ფარგლებში მჭიდრო თამაში ირჩიეს. ისინი მასპინძლების ტაქტიკურ ჩანაფიქრს დროულად ხვდებოდნენ და თავისუფალი მოქმედების ყველა გზას უკეტავდნენ. ამან ჩემპიონებს ერთგვარი უპირატესობა მოუპოვა, რაც მხოლოდ „ტერიტორიულად“ გამოიხატა — ტაიმის უმეტესი დრო მეტოქეებმა თბილისელთა ნახევარზე გაატარეს.

„ფილის“ რეგბისტები, რომლებსაც გუნდის თავი გავრილოვი უნარიანად დირიჟორობდა, „ლოკომოტივის“ კარის-აღებად სხვადასხვა ხერხს მიმართავდნენ: არეკნით დარტყმით მიზნის მიღწევაც სცადეს, რამდენჯერმე ბურთით თბილისელთა მოედანში შესვლაც, მაგრამ 40 წუთი ისე გაილია, ანგარიშის გახსნა ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო. იმ დღეს მოედანზე ღირსეული მეტოქეები ვიხილეთ. წინასწარ ვიტყვით: „ლოკომოტივმა“ ამ შეხვედრაში დაგვანახვა, რომ გუნდი ჩვეულ ფორმაში შედის.

შესვენების შემდეგ სალთხუციშვილის რეიდი „ფილიმ“ აკრძალული ხერხით შეაჩერა. ჯარიმა. კილასონიას ზუსტი დარტყმით მესამე წუთზე ანგარიში გაიხსნა — 3:0.

სიხარული ნაადრევი გამოდგა: ორი წუთის შემდეგ მასპინძლები დაჯარიმდნენ და გავრილოვმა წონასწორობა აღადგინა.

მე-7 წუთზე შვანგირაძე ელენტმა შეცვალა და თბილისელებმა ტემპს უმატეს. ორივე გუნდი ახალი წარმატების მოსაპოვებლად ენერგიულად იბრძოდა, მაგრამ მეტოქის ჩათვლის მოედნისკენ სახიფათოდ გაჭრას ვერც ერთი ვერ ახერხებდა, დაცვაში არც ერთი გუნდი არ ცდებოდა, რის გამოც თამაში ძირითადად შუა მოედანზე მიმდინარეობდა.

როცა მატჩის დამთავრებას ერთი წუთი აკლდა, რკინიგზელებმა „ფილის“ მორიგი იერიში მოიგერიეს. ბურთი თავის ნახევარზე იასნოვმა მიიღო, თბილისელთა ნახევარზე გადაინაცვლა და შორიდან არეკნით დაარტყა — 6:3.

მასპინძლებს მატჩის გადარჩენის საშუალება მიეცათ: კილასონიამ საჯარიმო თითქმის ცენტრიდან ზუსტად, მაგრამ ოდნავ სუსტად დაარტყა და ბურთი „ფილის“ კარის ძელს ქვეშ გავიდა.

რ. მაღრაძე.

როცა სადავე მეტოქის ხელშია

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 7 ივლისი.

„დინამო“ (თბილისი)—„ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი) — **14:21 (11:9).**

„დინამო“: რამიშვილი, თოფურიძე, თუშიშვილი (ნიჟარაძე), რეხვიაშვილი, დავითაია, ბუგიანიშვილი, მამულაშვილი, ცუხიშვილი, ნაცვლიშვილი, კიზირია, მგელაძე, ვ. აბაშიძე, თოფურია, ეკალაძე, შუანდერი (ვ. ძამაშვილი).

„ბურევესტნიკი“: სმუსინი, გოპანიუკი, ორეხოვი, გამანოვი, ბაშმაკოვი, ხარლამოვი (ალექსეევი), აბალუევი, ლარსკიხი (ანტონოვი), კრაეცი, კულიკოვი, რუმიანცევი, გულნიცკი, დმიტრენკო, შმაკოვი, ანისენკოვი.

მსაჯი ლ. დანილოვი (მოსკოვი).

მატჩი სტუმრებისთვის მეტად უიმედოდ დაიწყო. დინამოელებმა პირველ წარმატებას უკვე მე-4 წუთზე მიაღწიეს (ვ. აბაშიძე), მე-10 წუთზე კი ამავე ვ. აბაშიძემ ისევ მარჯვენა ფრთაზე განახორციელა რეიდი და ლენინგრადელთა ჩათვლის მოედანი მეორედ აიღო. 8:0. თბილისელთა ასეთი წარმატების შემდეგ ტრიბუნებიდან დაიმედებული მაყურებლების ძახილი გაისმა: „ბიჭებო, დიდი ანგარიშით მოგებაა საჭირო!“

სამწუხაროდ, დინამოელებმა ზედიზედ ორი რეალიზაცია ვერ გამოიყენეს, შუა ტაიმიდან კი ინიციატივას ლენინგრადელები დაეუფლნენ, რაც თანდათან ანგარიშშიც გამოიხატა.

მიუხედავად იმისა, რომ მეტოქის ჩათვლის მოედანში ბურთი ზედიზედ ორჯერ დადეს, თბილისელები მათთვის ჩვეულ სტილში მაინც ვერ თამაშობდნენ, გუნდში აღარ იგრძნობოდა ის ტემპერამენტი, ორგანიზებულობა, სითამამე, რაც დინამოელებს საერთოდ ახასიათებთ ხოლმე.

21-ე წუთზე რუმიანცევმა საჯარიმო ზუსტად გამოიყენა, რვა წუთის მერე კი წინ უკვე სტუმრები იყვნენ: მას შემდეგ, რაც გულნიცკიმ თბილისელთა კარს უკან ჩათვლის მოედანში ბურთი დადო, ლენინგრადელებმა რეალიზაციაც ზუსტად გამოიყენეს — 9:8.

ორიოდე წუთის მერე კიზირიამ საჯარიმოთი თავისი გუნდი ისევ დააწინაურა — 11:9.

შესვენების შემდეგ, მატჩის 52-ე წუთზე, იმავე კიზირიამ ანგარიშში სხვაობა ისევ გაზარდა — საჯარიმო დარტყმით ბურთი ლენინგრადელთა კარის ძელებს შუა გაატარა. 14:9.

ეს იყო ამ მატჩში თბილისელთა ბოლო წარმატება. მასპინძელთა უინიციატივო თამაშმა ლენინგრადელებს საშუალება მისცა შეხვედრა მოეგოთ. დარჩენილ დროში ბაშმაკოვმა და რუმიანცევმა ორჯერ აიღეს თბილისელთა ჩათვლის მოედანი, რეალიზაცია კი ორივეჯერ რუმიანცევმა (მან ამ შეხვედრაში გუნდს 11 ქულა მოუპოვა) გამოიყენა.

„დინამომ“ მარცხი იწვნია. წაგება მით უფრო დასანანია, რომ მასპინძლებს შეხვედრის მოგება შეეძლოთ, ტაქტიკურად სწორად და მეტი მონდომებით რომ ეთამაშათ.

ო. გელაშვილი.

შაბათს მონინოში ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდმა მიიღო აუტსაიდერი — მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის კოლექტივი. საფინალო სასტვენამდე გაგარინელები წინ იყვნენ — 6:3. მეორე ტაიმის პირველ 20 წუთს მსი-ს რეგბისტები სსა-ს ნახევარს არ მოშორებიან, მაგრამ გაგარინელთა დაცვა ვერ გატეხეს და საბოლოოდ დამარცხდნენ — 3:12.

კვირას კიევში ადგილობრივმა სამოქალაქო ავიაციის ინჟინერთა ინსტიტუტის გუნდმა „სპარტაკმა“ მოსკოვის „ავტომობილისტს“ უმასპინძლა. შესვენებამდე მასპინძლები მინიმალური ანგარიშით (4:3) დაწინაურდნენ. საბოლოოდ კი დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს — 19:3.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 9 ივლისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
სსა	4	4	0	0	85:19	8
„ფილი“	4	4	0	0	37:15	8
„სპარტაკი“	4	3	0	1	58:50	6
„ბურევესტნიკი“	4	2	0	2	55:42	4
„დინამო“	4	1	0	3	39:60	2
„ავტომობილისტი“	4	1	0	3	18:56	2
„ლოკომოტივი“	4	1	0	3	12:39	2
მსი	4	0	0	4	20:43	0

8 ივლისს შედგა სსრ კავშირის XXXV ჩემპიონატის 1 წრის დასკვნითი, მე-15 ტურის მატჩები.

„არარატი" — ცსკა 1:0. ეს იყო არა მარტო ტურის, არამედ მიმდინარე გათამაშების ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი: ერთმანეთს ხვდებოდნენ I და II ადგილებზე მყოფი გუნდები. მის შედეგს, რა თქმა უნდა, ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ერევნელმა ფეხბურთელებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ სამართლიანად უდგანან სათავეში წლევანდელ ჩემპიონატს. მათ კვლავ სრული მობილიზებით ითამაშეს და დაამარცხეს „კვალში მდგომი" მეტოქე. გადამწყვეტი ბურთი არმიელთა კარში გაიტანა მარქაროვმა. „არარატმა" ერთპიროვნული ლიდერის როლში დაამთავრა I წრე.

„დინამო" (მოსკოვი) — „ზარია" 2:1. ანგარიში 29-ე წუთზე გახსნა მოსკოველმა პუდიშევმა, წუთის მერე კი ვ. კუზნეცოვმა გაქვითა ეს გოლი — 1:1. მატჩი უკვე დასასრულს უახლოვდებოდა და 11-მეტრიანების სერია თითქოს აღარ იწვევდა ეჭვს, როცა მოსკოველთა სწრაფი შეტევა გოლით დაამთავრა მცველმა დოლბონოსოვმა — 2:1.

„ფახთაქორი" — „სპარტაკი" 1:0. ტაშკენტელმა ფეხბურთელებმა უკიდურესად საჭირო 2 ქულა აიღეს ლისაკოვსკის მიერ გატანილი ბურთის წყალობით.

„ქაირათი" — „დინამო" (მინსკი) — 1:0. ერთადერთმა გოლმა, რომელიც ოსიანინმა გაიტანა, ალმაათელებს მოუტანა გამარჯვება.

ამ მატჩში უხეში თამაშისთვის მინდვრიდან გააძევეს ჩებოტარიოვი („ქაირათი") და გირკო (მინსკი).

„ზენიტი" — „დინამო" (კიევი) 2:1. ლენინგრადელებმა სრული მობილიზებით ჩაატარეს მატჩი ძლიერ მოწინააღმდეგესთან და დამსახურებულადაც გაიმარჯვეს. „ზენიტის" ორივე გოლის ავტორი იყო ზინჩენკო, საპასუხო ბურთისა — კოლოტოვი.

„შახტიორი" — „კარპატი" 3:1. ამ მატჩის მოგებით „შახტიორმა" I წრის დასასრულს შეინარჩუნა ადგილი ლიდერთა ჯგუფში. „კარპატის" კარში 2 ბურთი გაიტანა ვასენინმა, 1 — სტარუხინმა. ლვოველებმა მხოლოდ ერთი გოლით უპასუხეს (შპოდარუნოკი).

ასკ (დონის როსტოვი) — „დნეპრი" 6:5 (პენალტებით. ძირითადი დრო — 2:2).

სსრ კავშირის ჩემპიონატი

კიდევ ერთი მარცხი

მოსკოვი. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 7 ივლისი.

„ტორპედო" (მოსკოვი) — „დინამო" (თბილისი) 1:0 (1:0).

„ტორპედო": ბანიკოვი, ტუკმანოვი, ზაბინიაკი, ბუტურლაკინი, იურინი, კრასნოვი, ფეტისოვი, ნიკონოვი, ჟივოტიკოვი, დეგტიარევი, სმირნოვი.

„დინამო": გოგია, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი, მჭედლიშვილი, მ. მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი, გ. ნოდია (ჭელიძე), წერეთელი.

მსაჯი ი. ბალიკინი (დნეპროპეტროვსკი).

დუბლიორები — 3:0 „ტორპედოს" სასარგებლოდ.

I წრის ბოლო მატჩს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორივე გუნდისთვის. გამარჯვება როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს საშუალებას აძლევდა მტკიცედ მოეკიდა ფეხი წამყვან ჯგუფში და კარგი პერსპექტივებით შედგომოდა ჩემპიონატის მეორე ნახევარს. მიუხედავად ამისა, ვერ ვიტყვით, რომ თამაში თავისი შინაარსით, ან სანახაობრივი თვალსაზრისით საინტერესო ყოფილიყო. მისი მეტი ნაწილი მიმდინარეობდა მინდვრის შუაგულში, გამწვავებებს ნაკლებად ჰქონდა ადგილი, არ ჩანდა ის კომბინაციური შეტევები და საერთო სილამაზე, რომელიც ტრადიციულად თან ახლავს ხოლმე ამ ორი გუნდის შეხვედრებს.

თბილისელებმა აშკარად სუსტად, კვლავ თავიანთ შესაძლებლობაზე გაცილებით დაბლა ითამაშეს. 90 წუთის მანძილზე მათ სულ ორჯერ თუ შეძლეს სახიფათო მომენტის შექმნა, „დინამოს" თავდამსხმელები სისტემატურად აგებდნენ ბრძოლას მოსკოველ მცველებთან, ვერც ნახევარდაცვის ხაზში გამოიჩინა ვინმემ თავი, ხოლო დაცვაში დაშვებული შეცდომები მოსკოველებს საშუალებას აძლევდა ეთამაშათ დიდი უპირატესობით, ინიციატივიანად.

გაოცებას იწვევს ის შეცვლა, რომელიც დინამოელთა რიგებში მოხდა მატჩის დასასრულს: მინდორი დატოვა გ. ნოდიამ, რომლის ნაცვლად გამოყვანილ იქნა ახლად გამოჯანმრთელებული ჭელიძე. რამდენადაც ვიცით, ამ ფეხბურთელს არასოდეს უთამაშია თავდასხმაში და, ცხადია, ახლაც უცხოდ გრძნობდა თავს ამ რგოლში.

ის აქტიურობა, რომელსაც თბილისელები იჩენდნენ დროდადრო, ფაქტიურად, არ გასცილებია მინდვრის შუაგულს, ვინაიდან სამივე ფორვარდი — გუცაევი, ნოდია და წერეთელი საიმედოდ ჰყავდათ ჩაკეტილი ტორპედოელებს.

გოლი, რომელმაც გადაწყვიტა თამაშის ბედი, ტორპედოელებმა გაიტანეს მე-5 წუთზე: კუთხური მოაწოდა სმირნოვმა, გოგიამ ვერ შეძლო ბურთის კარგად მოგერიება. იგი მოხვდა ძელს, დაუბრუნდა მინდორს და დეგტიარევმა წამით დაასწრო ძოძუაშვილს — 1:0. დარჩენილი 85 წუთის მანძილზე დინამოელებმა ვერაფერი გააწყეს მეტოქესთან და კიდევ ერთხელ, უკვე მეექვსედ დატოვეს მინდორი დამარცხებულებმა.

გათამაშების ცხრილი

I წრის შედეგები

	თ.	მ.ძ.	მ.პ.	წ.	ბ.	ქ.
„არარატი" (ერევანი)	15	9	2	4	38—21 (26—10)	20
„დინამო" (მოსკოვი)	15	7	2	6	33—25 (20—13)	16
„შახტიორი" (დონეცკი)	15	7	2	6	23—21 (15—16)	16
ცსკა	15	7	2	6	27—26 (17—18)	16
„დინამო" (კიევი)	15	6	3	6	41—34 (17—12)	15
„დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი)	15	6	3	6	35—30 (19—17)	15
„ზარია" (ვოროშილოვგრადი)	15	7	0	8	27—26 (17—10)	14
„სპარტაკი" (მოსკოვი)	15	7	0	8	32—32 (21—18)	14
„ტორპედო" (მოსკოვი)	15	7	0	8	26—27 (17—14)	14
„დინამო" (თბილისი)	15	5	4	6	38—31 (15—14)	14
„ქაირათი" (ალმა-ათა)	15	5	3	7	25—29 (12—19)	13
„ზენიტი" (ლენინგრადი)	15	4	2	9	40—43 (16—18)	10
„ფახთაქორი" (ტაშკენტი)	15	4	1	10	26—36 (17—23)	9
„კარპატი" (ლვოვი)	15	3	3	9	33—43 (12—23)	9
„დინამო" (მინსკი)	15	4	0	11	26—35 (10—15)	8
ასკ (დონის როსტოვი)	15	2	3	10	31—42 (7—18)	7

გიორგი ახვლედიანის ხსოვნას

დიდ ქართველ მეცნიერს, თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთ დამაარსებელთაგანს, აკადემიკოს გიორგი ახვლედიანს ყველა მისი თანამემამულე იცნობდა. მაგრამ ბევრმა ალბათ არ იცის, რომ იგი ქართული სპორტის, კერძოდ მოჭადრაკეთა დაუღალავი ქომაგი იყო.

ახალგაზრდობაში და მერეც გიორგი ახვლედიანს უყვარდა ტურისტული ლაშქრობები, ნადირობა მშობლიური სოფლის დერჩის (წყალტუბოს რაიონი) მთებში. ეს სიმხნევეს, ხალისს მატებდა მას, მაგრამ ჭადრაკიც არასოდეს ავიწყდებოდა.

ეს სიყვარული მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვა გიორგი ახვლედიანს.

— პირველი მსოფლიო ომის დროს ხარკოვში ციხეში ჩამსვეს, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო. სწორედ იქ გამახსენდა ჭადრაკი. პურის გულიდან გამოვძერწე ფიგურები, ქაღალდზე დაფა დავხატე და თამაშიც გაჩაღდა. დროც მალე გადიოდა, — მიამბო ერთხელ მხცოვანმა მეცნიერმა.

გიორგი ახვლედიანს უყვარდა მეგობრებთან ჭადრაკის თამაში, მაგრამ ამისთვის დრო იშვიათად რჩებოდა დიდი მეცნიერული მუშაობით გართულს.

— წინათ მეტი ხალისით ვთამაშობდი, — თქვა ერთხელ ბატონმა გიორგიმ, — მაგრამ წლებმა თავისი გაიტანა და ახლა, 80 წელს მიტანებულს ჭადრაკი სწრაფად მღლის. სამაგიეროდ, გულშემატკივრობას ვუმატე — ყურადღებით ვადევნებ თვალს მოჭადრაკეთა შეხვედრებს, ჭადრაკის ახალ ამბებს, ნონა გაფრინდაშვილის თავგამოდებული ქომაგი ვარ.

მართლაც, გიორგი ახვლედიანმა ნონას ე. მიკოვასთან მატჩში გამარჯვება ჯერ დეპეშით მიულოცა მოსკოვში, მერე კი თბილისში ახალგაზრდა მსოფლიო ჩემპიონს სამახსოვროდ ბუდას ძვირფასი გამოსახულება უსახსოვრა. იგი სახელოვან მეცნიერს ინდოეთიდან ჰქონდა ჩამოტანილი.

გიორგი ახვლედიანს აღელვებდა ქართული ჭადრაკის შესწავლის საკითხი. იგი ამბობდა, ჭადრაკი ყველა ბავშვს უნდა შევასწავლოთო. ეს თამაში პატარას გონებას უხსნის და განცდების დაოკებას აჩვევსო.

წლეულს 9 მაისს ჭადრაკის სასახლეში ერთდროული თამაშის 500-კაციანი სეანსის დროს კიროვის პარკში გიორგი ახვლედიანს შევხვდი. მას უყვარდა ამ პარკში დასვენება. ვისაუბრეთ. მოიწონა სასახლე, ჭადრაკის ახალი ამბებიც გამომკითხა. სწორედ მაშინ, მოჭადრაკე გოგონებზე რომ ვუამბობდი, დაბარებულივით მაია ჩიბურდანიძე გამოჩნდა. იგი ბატონ გიორგის წარვუდგინე. ძალიან გაუხარდა. შუბლზე აკოცა.

— რა კარგი გოგონა ყოფილხარ. გავიხარე შენი გაცნობით, — ამბობდა გიორგი ახვლედიანი. მისებურად მოუალერსა მაიას, გამოჰკითხა სწავლის, ოჯახის ამბები. მერე მომიბრუნდა და მე მითხრა:

— მაია ნამდვილი მოჭადრაკე იქნება, ძლიერი, ნონასავით მარჯვე.

მდიდარი წარსულის მქონე ქართული ჭადრაკის მატიანეს სილამაზეს მატებს გიორგი ახვლედიანისა და სხვა სასიქადულო მამულიშვილების ჭადრაკისადმი ასეთი სიყვარული, ხოლო თვით ამ საამაყო ადამიანების კეთილშობილურ მოღვაწეობასა და ცხოვრებას ჭადრაკით გატაცება ახალ სხივს ჰფენს.

აღარ არის გიორგი ახვლედიანი. დღეს ჩვენი საზოგადოებრიობა სამუდამოდ ემშვიდობება მას, მაგრამ ქართველი ხალხი არასოდეს დაივიწყებს თავის ღირსეულ შვილს.

თ. გიორგაძე.

• • •

სურათზე: გიორგი ახვლედიანი ჭადრაკში პაექრობისას.

გ. შეყილაძის ფოტო.

ბრძოლა გრძელდება

პროხლადნაია, 7 ივლისი (დეპეშით ჩვენი სპეც. კორ.). აქ გრძელდება მოზარდ ფეხბურთელთა საკავშირო ნახევარფინალური გათამაშება „სიჭაბუკის" თასზე. საქართველოს გუნდის მორიგი მეტოქე იყო ტაჯიკეთის ნაკრები. დაძაბული ბრძოლა დამთავრდა ფრედ — 2:2. ჩვენი გუნდიდან ბურთები გაიტანეს ჭითანავამ და ჩაჩხიანმა. რსფსრ-ს ფეხბურთელებმა მოუგეს ყირგიზეთის ნაკრებს — 4:0, ხოლო ესტონელებმა — მოლდაველებს — 1:0.

ნ. ამირეჯიბი.

ტყიბული, 7 ივლისი (დეპეშით ჩვენი სპეც. კორ.). მოზარდ ფეხბურთელთა საკავშირო პირველობის ნახევარფინალში თბილისის „დინამო" შეხვდა როსტოვის არმიელთა გუნდს და დაამარცხა იგი ანგარიშით 2:0. ორივე ბურთი გაიტანა ნინუამ. ბაქოსა და კიროვოგრადის გუნდების შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1, გროზნოელებმა დიდი ანგარიშით მოუგეს ლენინაკანელებს — 4:0.

ო. უშვერიძე.

თასი — ოჩხამურელებს

საინტერესოდ მიმდინარეობდა აჭარის თასის გათამაშება ფეხბურთში. ფინალური მატჩი შედგა ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობისა და ქობულეთის ავტოსატრანსპორტო საწარმოს გუნდებს შორის. შეხვედრის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 2:2. გამარჯვებული ვერ გამოავლინა დამატებითმა 30 წუთმაც. პენალტების სერიამ წარმატება მოუტანა ოჩხამურელ ფეხბურთელებს — 7:5, რომლებმაც მოიგეს მატჩი და მასთან ერთად თასიც.

გ. ვაჩეიშვილი.

რესპუბლიკური ახალგაზრდული სპორტული თამაშები

აჭარის გუნდი შეუფასებელი დარჩა

ტყვიის მსროლელთა შეჯიბრება სოხუმის „დინამოს" სასროლეთზე გაიმართა. ცეცხლის ხაზზე გამოვიდნენ აფხაზეთის, აჭარის, თბილისისა და ქუთაისის სპორტსმენები (სულ 38 კაცი), რომელთა შორის 6 სპორტის ოსტატი და 19 სპორტის ოსტატობის კანდიდატი იყო. პროგრამაში ექვსი ოლიმპიური ვარჯიში შედიოდა.

ოთხდღიან ბრძოლაში იმარჯვა თბილისის ნაკრებმა, რომელმაც 149 ქულა მოაგროვა. II ადგილი დაიკავეს აფხაზეთის სპორტსმენებმა — 89, მესამე იყო ქუთაისის გუნდი — 40. აჭარის ტყვიის მსროლელებმა ვერც ერთ ვარჯიშში ჩათვლა ვერ მიიღეს. ეს ფაქტი მოწმობს, რომ აჭარის სპორტკომიტეტი და სხვა შესაბამისი ორგანიზაციები ნაკლებად ზრუნავენ ახალგაზრდა ტყვიის მსროლელთა აღზრდისთვის.

შეჯიბრებამ ცხადყო, რომ სპორტსმენთა ნაწილი ტექნიკურად და ფსიქოლოგიურად ცუდად იყო მომზადებული. სწორედ ნაკლები ფსიქოლოგიური მომზადების მსხვერპლი გახდა მასპინძელთა გუნდის წევრი, სპორტის ოსტატი ა. კოსოვერი, რომელსაც მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლილა 60 გასროლის სტარტზე ნერვებმა უღალატა — სამიზნეს მსაჯების განკარგულებამდე ესროლა, რისთვისაც ამ სახეობაში შეჯიბრებიდან მოიხსნა.

ამ ვარჯიშში პირველობისთვის დაძაბული ბრძოლა გააჩაღეს თბილისელებმა ო. კაკაურიძემ და პირად პირველობაში მონაწილე ვ. ლიუბიმენკომ. 400 შესაძლებლიდან მეტოქეებს 392-392 ქულა ჰქონდათ. ბოლო 20 გასროლაში ლიუბიმენკომ 4 ქულა დაკარგა, კაკაურიძემ — 5.

ა. ბაქრაძე,

საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარი მწვრთნელი.

(ჩვენი სპეც. კორ.).

• • •

ტექნიკური შედეგები. მცირეკალიბრიანი შაშხანით სტანდარტზე (3×40) სროლა. პ. ოვჩინიკოვი — 1118, ო. კაკაურიძე (ორივე — თბილისი) — 1113, ა. კოსოვერი (აფხაზეთი) — 1104. მცირეკალიბრიანი პისტოლეტით მრგვალ სამიზნეებზე 60 გასროლა. ვ. მაჭავარიანი (თბილისი)—537, პ. კრეტოვი — 535, ა. ვორონოვი (ორივე — აფხაზეთი) — 534, „გაქცეულ ტახზე" სროლა. ვ. სამოილენკო — 528, ო. სულამანიძე — 509, მ. ბერიძიშვილი (ყველა — თბილისი) — 499. მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სწრაფსროლა. რ. ჩიკვილაძე (თბილისი) — 572, კრეტოვი — 570, ვ. ხალეცკი (თბილისი) — 568. ნებისმიერი შაშხანით სტანდარტზე (3×40) სროლა. კოსოვერი — 1091, ა. ხაჩიიანი (თბილისი) — 1085, ლიუბიმენკო — 1060.

ჩემპიონი მეცხრედ

ამას წინათ საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების კულტურის სახლში დამთავრდა საზოგადოების XIII პირველობა ჭადრაკში. შეჯიბრებაში, რომელიც ორ ეტაპად ჩატარდა, 22 მოჭადრაკე მონაწილეობდა. ფინალში კი 13 კაცი გავიდა.

თავიდან დაწინაურდა ნ. მირონოვი, რომელმაც ზედიზედ 6 პარტია მოიგო. საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების ჩემპიონის სახელიც მან დაისაკუთრა (11,5 ქულა). აღსანიშნავია, რომ ეს ტიტული მირონოვმა მეცხრედ მოიპოვა.

II ადგილზეა გ. კოკაშვილი (11 ქულა). III-IV ადგილები გაიყვეს ა. ქაჩლიშვილმა და გ. ვეფხვაძემ (10-10).

მ. რამიშვილი,

ფიზკულტურის ინსტრუქტორი.

ქართული ბიბლიოთეკა

ნოვგოროდის ოლქი. მოეწყო ზონალური მოტოკროსი 175,250 და 350 კბ სმ მანქანების კლასში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ლენინგრადის, ნოვგოროდის, ფსკოვის, მურმანსკისა და სხვა ოლქების გუნდები.

შეჯიბრება რთულ ტრასაზე და კოკისპირულ წვიმაში მიმდინარეობდა, რაც მონაწილეებისგან მაღალ ოსტატობას მოითხოვდა.

გუნდურ ჩათვლაში წარმატება მოიპოვეს ქალაქ იაროსლავლის სპორტსმენებმა.

ს უ რ ა თ ზ ე: ტრასაზე არიან 350 კბ სმ კლასის მოტოციკლებით მრბოლელები.

ა. ოვჩინიკოვის ფოტო.
(საკდესი).



„ლელო" [illegible]...

შეკითხვა: სკოლაში ათი კლასია და 12 გაკვეთილი მაქვს. ხელფასს ვიღებ სრული განაკვეთის მიხედვით. გარდა ამისა, ფიზკულტურული მუშაობის ხელმძღვანელობისთვის მეძლეოდა 0,25 პროცენტი, რომელიც განათლების განყოფილების ბუღალტერმა მომიხსნა. გთხოვთ მიპასუხოთ, რამდენად სწორია ბუღალტრის გადაწყვეტილება?

ვ. მურვანიძე,
ხელვაჩაურის რაიონის სოფელ კახაბრის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი.

პასუხი: როგორც საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში გვითხრეს, ვინაიდან მხოლოდ 12 გაკვეთილი გაქვთ, ხელფასი კი სრული განაკვეთის მიხედვით, ესე იგი, 18 გაკვეთილისთვის გეძლევათ, ვალდებული ხართ ამ სხვაობის ანაზღაურებლად უხელმძღვანელოთ ფიზკულტურულ მუშაობას (მათ შორის კლასგარეშე მუშაობასაც) ხელფასზე 0,25 პროცენტი დანამატის გარეშე.

შეკითხვა: ვარ IV კურსის სტუდენტი. ვმუშაობ მარგანტრესტის ფიზკულტურის მეთოდისტად. სხვა კოლექტივებში ჩემი კოლეგები იღებენ პრემიულ წახალისებას, რასაც მე არ მაძლევენ. ამავე დროს ვიხდი უშვილობის გადასახადს (24 წლის ვარ). გთხოვთ მიპასუხოთ, რამდენად სამართლიანია ადმინისტრაცია ჩემს მიმართ.

ვ. სამხარაძე.
ჭიათურა.

პასუხი: საკავშირო პროფსაბჭოს 1972 წლის 4 ივლისის № 8 დადგენილების 22-ე პუნქტის შესაბამისად, საწარმოო ტანვარჯიშისა და ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის მეთოდისტს ხელფასი შრომის დაცვის სახსრებიდან ეძლევა. კოლექტივის სხვა წევრებთან ერთად ფიზკულტურის მეთოდისტიც ღებულობს პრემიებსა და სხვა სახის მატერიალურ წახალისებას. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1941 წლის 21 ნოემბრისა და 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულებათა საფუძველზე, უშვილობის თანხა მამაკაცებს გადახდებათ 20 წლიდან 50 წლამდე, გათხოვილ ქალებს — 20-დან 45 წლამდე.

შეკითხვა: ვარ 17 წლის. ვიწონი 65 კილოგრამს. გთხოვთ განმიმარტოთ, რა სიმძიმის შტანგას უნდა ვწევდე აკვრით და ატაცით, ან რა შედეგი უნდა მქონდეს ორჭიდის ჯამში.

გ. ტორაძე,
ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ნებოძირის X კლასის მოსწავლე.

პასუხი: ახალი საკავშირო სპორტული კლასიფიკაციით, 14-17 წლის მოზარდებისთვის გათვალისწინებულია მხოლოდ მოზარდთა I და II თანრიგების ნორმატივები. თქვენ ეკუთვნით მსუბუქი წონის კატეგორიას, სადაც მოზარდთა II თანრიგის ნორმატივის შესასრულებლად უნდა აიტაცოთ 62,5 კგ და აჰკრათ 85 კგ. მოზარდთა I თანრიგისთვის კი ეს წონა შესაბამისად 67,5 და 90 კილოგრამამდე იზრდება.

ამას წინათ ვიტყობინებოდით, რომ სოხუმში და მიუსერის უბეში გაიმართა შეჯიბრება წყალქვეშ ნადირობაში სსრ კავშირის თასზე. საერთო გუნდურ ჩათვლაში მთავარი ჯილდო საქართველოს ნაკრებმა მოიპოვა. ამ გუნდის ლიდერმა ვ. კოროლიოვმა 10 კილოგრამი და 665 გრამი თევზი დაიჭირა, რითაც II ადგილი დაიკავა.

ს უ რ ა თ ზ ე: ვ. კოროლიოვი ასპარეზობის შემდეგ.

მ. ზაქარეიშვილის ფოტო.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ავტომოდელები გამოცდას აბარებენ

ამას წინათ თბილისში ჩატარდა ნორჩ ავტომოდელისტთა VI რესპუბლიკური პირად-გუნდური შეჯიბრება.

სარბიელზე გამოვიდნენ ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური რესპუბლიკური სადგურის, თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, ჭიათურის კოლექტივები. საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ თბილისის 101-ე სკოლის IX კლასის მოსწავლე მ. მალხასიანი, თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის II კურსის მოსწავლე რ. სააკოვი, თბილისის 133-ე სკოლის VIII კლასის მოსწავლე ი. კონსტანოვი, რკინიგზის მე-19 სკოლის VI კლასის მოსწავლე ზ. ზურაბიშვილი და თბილისის 96-ე სკოლის X კლასის მოსწავლე გ. კოგოსოვი. საბოლოოდ მათ 2200 ქულა მოაგროვეს, II ადგილი დაიკავა თბილისის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის გუნდმა — 825, III — ბათუმის პიონერთა სახლის კოლექტივმა — 800.

სხვადასხვა კლასის მოდელებით შეჯიბრებაში იმარჯვეს ბათუმელებმა ლ. პოღოსიანმა და ფ. შალიკავამ, თბილისელებმა რ. სააკოვმა, ი. კონსტანოვმა და ზ. ზურაბიშვილმა.

ო. კიკნაველიძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

მინისტრი ახსნა-განმარტებას მოითხოვს

ჩრდილოეთ აფრიკისა და ევროპის ქვეყნებში 35-დღიანი ტურნე დაამთავრა მსოფლიო ჩემპიონმა ფეხბურთში — ბრაზილიის ეროვნულმა გუნდმა. სამშობლოში დაბრუნებულ ფეხბურთელებს ელოდათ... ღამის სიგრილე და გულშემატკივართა საკმაოდ გულგრილი შეხვედრა. თუმცა გვიან იყო, აეროპორტში ასზე მეტი გულშემატკივარი მივიდა. ისინი აშკარად გამოხატავდნენ უკმაყოფილებას, გაჰყვიროდნენ რაღაც სიტყვებს, რაც ფეხბურთელებისთვის მაინცდამაინც სასიამოვნო მოსასმენი არ იყო.

თავიანთი მოვალეობის შესრულების დროს ამჯერად განსაკუთრებით პუნქტუალური და თავშეკავებული იყვნენ საბაჟოს მოხელეები, რომლებიც ფეხბურთელებს დახვდნენ.

უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ბრაზილიელები არც ერთხელ არ დამარცხებულან არც ამხანაგურ, არც ოფიციალურ მატჩებში. და აი, იტალიაში გუნდმა თავისი ოცდამეთექვსმეტე მატჩი წააგო. ანგარიშს (0:2) მწვრთნელი მარიო ზაგალო დიდად არ შეუშფოთებია, მაგრამ ზედმეტი სიფიცხით ცნობილი ბრაზილიელი გულშემატკივრები აღარც მკვდრებში იყვნენ, აღარც ცოცხლებში. სხვისი არ ვიცით და მათ კი მიაჩნდათ, რომ ბრაზილიელ ფეხბურთელებს მუდამ ამაყად ყელმოღერებულებს უნდა დაეტოვებინათ მინდორი.

ლათინურ ამერიკაში და არა მარტო იქ, დიდხანს იმ აზრისა იყვნენ, რომ საკმარისია ყვითელ-მწვანე მაისურებში გამოწყობილმა ფეხბურთელებმა გოლის გატანა მოისურვონ და ბურთი მყისვე მეტოქის კარში შეფრინდება. ზაგალო წინასწარ აფრთხილებდა გულშემატკივრებს, რომ „დაზვერვით" ტურნეში მარცხიც მოსალოდნელია, რომ გუნდი სამშობლოდან გაფრენამდე მხოლოდ ერთი კვირის წინ შეიკრიბა, მაგრამ მისი სიტყვები სერიოზულად არავის მიუღია.

მოგზაურობის დროს მოხდა პატარა ინციდენტი, რამაც შეიძლება უფრო დიდი ამბები გამოიწვიოს. ჟურნალისტების კრიტიკით განაწყენებულმა ფეხბურთელებმა გამოსცეს მანიფესტი, რომელშიც გამოაცხადეს, რომ არც ერთი მათგანი ამიერიდან რეპორტიორებთან ფეხბურთზე სიტყვასაც არ დასძრავს. ეგ კიდევ არაფერი, როგორც უცხოეთის სააგენტოები იუწყებიან, ფეხბურთელებმა ბევრჯერ გალანძღეს კიდეც რეპორტიორები. ამის პასუხად კალმოსანთა ლაშქარმა მცველ პიაცას... პორტუგალიური ენის გრამატიკის სახელმძღვანელო მიართვა.

ირლანდიის რესპუბლიკისა და ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებთან ბრაზილიელთა ბოლო მატჩის შემდეგ რეპორტიორებს კრიტიკულ გამოთქმებში სიძუნწე არ გამოუჩენიათ. მაგალითად, მეკარე ლეაოს სუსტი თამაშის გამო (მართლაც ვერ ითამაშა კარგად) ერთ-ერთი ბრაზილიელი ჟურნალისტი წერდა: „ლეაო თავისი კარის ნამდვილი მეფე იყო, სანამ... ბურთი საჯარიმო მოედანს მიაღწევდა".

სპეციალისტები, რომელთა ნაკლებობაც ამ მოგზაურობის დროს არ იგრძნობოდა, განსაკუთრებით უკმაყოფილონი იყვნენ თავდამსხმელებისა. მათი აზრით, ფორვარდები მეტისმეტად გაიტაცა მეტოქის წინაშე ტექნიკური უპირატესობის დემონსტრაციამ, ბოროტად იყენებდნენ დრიბლინგს, იერიშის დაგვირგვინების დროს კი საკმარის ეფექტს ვერ აღწევდნენ.

ამ უაღრესად დაძაბული ტურნეს შედეგებს ასე მკაცრად არ უნდა მისდგომოდნენ. მაგრამ განათლების მინისტრმა ჟარბას პასარინიომ, რომელიც ქვეყნის სპორტულ ორგანიზაციებსაც განაგებს, მაინც ვერ აუარა გვერდი საზოგადოებრივი აზრის გავლენას. მან ზაგალოსთან და ბრაზილიის სპორტული კონფედერაციის პრეზიდენტ ჟოაო აველანჟთან შეხვედრა მოითხოვა. როგორც სააგენტოები იუწყებიან, პასარინიომ თქვა, პირადად მსურს გავეცნო ამ მოგზაურობის შედეგებსა და დასკვნებსო.

ახლა ძნელია ითქვას, რას იღონებენ ბრაზილიელები ჩემპიონატამდე დარჩენილ დროში, მაგრამ ერთი რამ უდავოა: ისინი თავს არ დაზოგავენ, რათა უკეთ ითამაშონ და „მექსიკური წარმატება" გაიმეორონ.

ვ. ვლადიმიროვი.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

შვეცია

„ატვიდაბერგმა" ფრედ ითამაშა „ორგრიტესთან" — 2:2. ასეთივე ანგარიშით დასრულდა მატჩი ვაქსიოს „ესტერსა" და „ერებრუს" შორის.

	თ.	ბ.	ქ.
„ატვიდაბერგი"	11	27:8	21
„ესტერი" (ვაქსიო)	11	18:10	15
გაის-ი (გეტებორგი)	11	14:11	13

ნორვეგია

„ვიკინგმა" VII ტურში ფრედ ითამაშა ოსლოს „სკეიდთან" — 1:1.

„ვიკინგი"	8	15:4	14
„როსენბორგი"	8	9:3	12
„სტრემგოდსეტი"	8	11:7	10

ავსტრია

ვენის „რაპიდმა" შინ სძლია „შტურმს" — 1:0.

„რაპიდი"	28	49:28	39
„სვაროვსკი-ვაკერი"	26	50:21	37
„ლინცერ ასკ"	29	45:30	34

ჩეხოსლოვაკია

გთავაზობთ ქვეყნის ჩემპიონატის საბოლოო ცხრილს:

„სპარტაკი" (ტრნავა)	30	47:20	39
„ტატრანი" (პრეშოვი)	30	42:30	38
„კოშიცე"	30	46:28	35
„დუკლა" (პრაღა)	30	32:23	34
„ჟილინა"	30	50:38	33
„ლოკომოტივი" (კოშიცე)	30	39:40	32
„ბანიკი" (ოსტრავა)	30	32:34	30
„სლოვანი" (ბრატისლავა)	30	32:31	29
„უნიონი" (ტეპლიცე)	30	37:34	28
„ნიტრა"	30	36:39	28
„სპარტა" (პრაღა)	30	39:45	27
„ზბროიოვკა" (ბრნო)	30	43:45	27
„შკოდა" (პლზენი)	30	32:44	26
„სლავია" (პრაღა)	30	30:41	25
„ტრინეცი"	30	24:39	25
„სპარტაკი" (პრადეც კრალოვე)	30	25:55	23

ჩემპიონატები, თასები, ლიდერები

იუგოსლავია

ჩემპიონატის საბოლოო ცხრილი ასე გამოიყურება:

„ცრვენა ზვეზდა" (ბელგრადი)	34	71:28	52
„ველეჟი" (მოსტარი)	34	48:27	46
ოფკ (ბელგრადი)	34	52:31	45
„პარტიზანი" (ბელგრადი)	34	50:37	43
„ჟელეზნიჩარი" (სარაევო)	34	59:41	42
„სლობოდა" (ტუზლა)	34	34:32	34
„სარაევო"	34	48:50	34
„დინამო" (ზაგრები)	34	39:47	33
„ჰაიდუკი" (სპლიტი)	34	50:50	31
„ვარდარი" (სკოპლე)	34	35:50	31
„რადნიჩკი" (ნიში)	34	24.40	30
„ბორაცი" (ბანია ლუკა)	34	30:26	29
„ვოივოდინა" (ნოვი სადი)	34	39:46	29
„ჩელიკი" (ზენიჩარი)	34	27:44	28
„ბორი"	34	36:57	28
„ოლიმპია" (ლიუბლიანა)	34	35:43	26
„სპარტაკი" (სუბოტიცა)	34	37:48	26
„სუტიესკა" (ნიკშიჩი)	34	32:49	25

უნგრეთი

ჩემპიონატის საბოლოო ცხრილი ასეთია:

„დოჟა უიპეშტი" (ბუდაპეშტი)	30	81:21	46
„ფერენცვაროში" (ბუდაპეშტი)	30	60:31	41
„ვაშაში" (ბუდაპეშტი)	30	54:33	40
„ჰონვედი" (ბუდაპეშტი)	30	60:37	35
„ვიდეოტონი" (სეკეშფეჰერვარი)	30	46:39	35
„ზალაეგერსეგი"	38	42:37	33
„ჩეპელი"	30	45:38	31
„რაბა ეტო" (დიერი)	30	46:51	30
მტკ (ბუდაპეშტი)	30	36.49	27
„შალგოტარიანი"	30	40:50	25
„ტატაბანია"	30	28:39	25
„დოჟა" (პეჩი)	30	27:41	25
„ეღიეტერტეში"	30	28:48	24
„სეგედი"	30	31:52	24
„დიოშდიორი"	30	20:50	20
„კომლო" (ბანიაში)	30	24:52	19

[illegible]

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

55 ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 11519